№ 24 (1394) დეკემბერი 1972

ნიანგი

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კაპ.

ზეიმობს ჩვენი სამშობლოს დიდი ზეცა და მთა-ველი!
რუსი, უკაზახი, ტაჯიკი და აზერბაიჯანელი!
ზეიმობს მზეთა მშობელი აზრი — კოსმოსის მხილველი!
ბელორუსი და თურქმენი, ყირგიზი, უკრაინელი!
ზეიმობს ძმური კავშირის ღერბი და დროშა წითელი!
მოლდაველი და უზბეკი, ლატვიელი და ლიტველი!
ზეიმობს ორმოცდაათი წლის ჩაუქრობი ნათელი!
ესტონელი და სომეხი და, მათთან ერთად, ქართველი!
ზეიმობენ და დიდებით მოსავენ გმირი ხალხები
გზას — განვლილს ასე ტრიუმფით, მარად უკვდავი სახელით!
კაცობრიობას ბრწყინვალე მომავლის კოცონს უგზნებენ!
ვაშა, ომების მეხამრიდს — საბჭოთა კავშირს — უძლეველს!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის

სიმწიფის ატესტატი

ეძლევა მასზედ, რომ ოქროს მედლით დაამთავრა სოციალიზმის მშენებლობის ორმოცდაათწლედი და შევიდა კომუნიზმში.

დისციპლინები

იდეოლოგია —	5 (ფრიადი)
კონსტიტუცია —	5 (ფრიადი)
ხალხთა მეგობრობა —	5 (ფრიადი)
მრეწველობა —	5 (ფრიადი)
სოფლის მეურნეობა —	5 (ფრიადი)
მეცნიერება და ტექნიკა —	5 (ფრიადი)
მშენებლობა —	5 (ფრიადი)
კოსმოსის ათვისება —	5 (ფრიადი)
კულტურა —	5 (ფრიადი)
ლიტერატურა და ხელოვნება —	5 (ფრიადი)
საშინაო პოლიტიკა —	5 (ფრიადი)
საგარეო პოლიტიკა —	5 (ფრიადი)
ინტერნაციონალიზმი —	5 (ფრიადი)
მშვიდობის დაცვა —	5 (ფრიადი)
სამედიცინო მომსახურება —	5 (ფრიადი)
სამხედრო მომზადება —	5 (ფრიადი)
ფიზკულტურა და სპორტი —	5 (ფრიადი)

ვარემონტებთ ძველ ანდაზებს!

დრო ცვლის ყველაფერს. ცხოვრების დიალექტიკა შეეხო ძველ ანდაზებსაც, რომელთაგან ბევრმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით გადახედვა სჭირდება აგრეთვე ძმობასთან და მეგობრობასთან დაკავშირებულ შემდეგ ქართულ ანდაზებს:

ბატონის სურვილი ყმისთვის კანონიაო. 1917 წლიდან ეს კანონი გაუქმდა.

ბატონს ზურგი სტკიოდა და ყაზახები ტიროდნენო. 1917 წლიდან პირიქითაა: ბატონს ზურგი რომ აეწვა, ყაზახები იცინოდნენ.

ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო. რატომ ცხრამ და არა 15-მა?

სხვას ორმოს ნუ უთხრიო. ეს ეგოისტობაა, როცა მეგობრობის ბაღს ვაშენებთ.

ეკლის ადგილას ვარდი არ ამოვაო. არც მიჩურინული მეთოდით?

კაცი კაცის წამალიაო. ეს საბჭოური რეცეპტი უნდა გავრცელდეს იმ ქვეყნებში, სადაც კაცთმოძულეობის ეპიდემია მძვინვარებს.

გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო. სსრ კავშირის — ჩვენი უკიდეგანო სამშობლოს — შექმნის შემდეგ გაუქმდა, რადგან ახლა გაღმაც და გამოღმაც ჩვენია.

ძალა ერთობაშიაო. დაემატოს: ერთობა კი — ჩვენში.

ისეთი ხიდი გადევი, რომ შენმა შვილიშვილმაც ზედ გაიაროსო. ჩ ვ ე ნ ი კ ო ნ ს უ ლ ტ ა ც ი ა: მეგობრობის ხიდია ასეთი.

ხელუხლებლად რჩება ძალაში

სსრ კავშირის 50 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით უკომენტაროდ ვბეჭდავთ დიდი ქართველი მგოსნის — აკაკი წერეთლის უკვდავ აფორიზმს:

„ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“.

ანდაზების „შემკეთებელი“ გ. ცისკარაძე

ჩვენი ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას უყვარს სახლკარობა,
დაბმული ხიდაც:
ამ სიყვარულს ვერ აწონი,
ვით ურალის მადანს.
ყველას უყვარს... და მეც მიყვარს
სოფლად ჩემი სახლი.
თუნდ, ავმაღლდე მთვარესავით,
მე თავს მის წინ დავხრი!
იქ მეგულვის პაპაჩემი,
ოჯახს უდგას ფუძედ,
მოხრილ მხრებით ას წელს ჭობნის,
მის სიმძიმეს უძლებს.
თავს ევლება ოჯახს დედა —
რუსი ქალი გამრჯე.
ლურჯ თავსაფარს აფრიალებს,
ვით ლაჟვარდის ნაჭერს.
დიდ ოქტომბერს ერთად იყვნენ,
ხმალს იქნევდნენ მხნედა, —
მამა ნაციმბირალი და
ციმბირელი დედა.
ბიძაჩემიც, მამასავით,
გულს მიხარებს მუდამ,
მან მასწავლა, სამშობლოსთვის
შრომა როგორ უნდა.
ბაქოს ცხოვრობს, ცას რომ სერავს
შადრევნები მძლავრი...
და ბაქოდან მოგვიყვანა
ბაქოელი რძალი.
ჩემი ბიძის ქალიშვილმა
გული დაჭრა მინსკელს,
მაგრამ მალე მიეშველა,
მოარჩინა ისევ...
ჩემს უფროს ძმას ფრონტზე მკერდი
შეეღება წითლად,
ხმა გავარდა: მკვდარიაო!
ჭორი ბევრი ითქვა...
ვდარდობდით და თვალთ ცრემლები
მოგვედინა გუნდად,
ძმა კი სახლში უკრაინელ
ქალით დაგვიბრუნდა.
მეორე ძმამ ისწავლა და
ინჟინერი გახდა.
შორს, ლიტვაში, გაამწესეს,
ჩვენს ახლობელ ხალხთან...
და რიგიდან ურიგოდ არ
გამოუშვეს იგი.
გოგო მოჰყვა ირმისყელა,
რუსთაველის წიგნით.
...ნანატრი დღე რომ დადგება,
თავს მოვიყრით ერთად,
გვჯერა, თითქოს ყველას გული
ერთი რიტმით ფეთქავს.
ოდა-სახლში სტუმრისათვის
ადგილი არ რჩება,
ჩვენ ვართ ჩვენი სტუმრებიც და
მასპინძლებიც ჩვენ ვართ.
ქეიფი რომ გახურდება,
ქუდი ხვდება ჭერსა,
პაპა სადღეგრძელოს ამბობს
და ღვინოს კი ჩვენ ვსვამთ.
ამ მთისას და იმ ბარისას
მოჰყვებიან ამბებს,
მაღალ კედლებს მომავლისას
როგორ მტკიცედ ვაგებთ.
დედა უკრაინას აქებს,
ბიძაჩემი — რუსეთს,
პაპა წვერზე ხელს ისვამს და
მათ ღიმილით უსმენს.
მარცხნივ უზის ბელორუსი,
მარჯვნივ უზის რუსი,
უსმენს, უსმენს, მერე იტყვის:
„გენაცვალეთ სულში!“
ზოგჯერ წამით წარბებს შეკრავს,
თავს იქნევს და ოხრავს:
„ეჰ, მეუღლეც შესწრებოდა
ასე სავსე ოჯახს!“
მე ყველაზე უმცროსი ვარ,
უნდა ვიჯდე მშვიდად.
მშვიდად როგორ გავჩერდები,
ფრთები მქონდეს, მინდა...
მეც ამურმა ისარი მკრა,
სიყვარულში წინ ვარ:
ყაზახეთში გოგო მელის,
საახალწლოდ მივალ!

ნოდარ შამანაძე

გ ა უ მ ა რ ჯ ო ს!

— წინადადება შემომაქვს, თამადად გურამი ავირჩიოთ! — თქვა სიდორენკომ, — ამ საქმეში ქართველ კაცს ვერავინ შეედრება!

ხალხი ჟრიამულით შეხვდა მის აზრს და, სანამ სათქმელს მოვიფიქრებდი, საკმაოდაც შეზარხოშდნენ.

— პირველი სადღეგრძელო, — დავიწყე მე, — მსურს მივუძღვნა იმ ოჯახს, სადაც დღეს სტუმრად ვიმყოფებით. ჩვენმა მასპინძლებმა — მოსკოველმა მშენებლებმა, იდეალური პირობები შეგვიქმნეს არა მარტო მუშაობისთვის, არამედ დასვენებისთვისაც. საუცხოოდ ორგანიზებული თათბირი!.. გულთბილი შეხვედრები!.. სასარგებლო და საინტერესო ექსკურსიები!.. ვის გულს არ მოინადირებს ყოველივე ეს? ნება მიბოძეთ, თათბირის მონაწილეთა სახელით მადლობა გიძღვნათ და გულწრფელად გადღეგრძელოთ თქვენ, ჩვენო მოსკოველო კოლეგებო! გაუმარჯოს მოსკოველ მშენებლებს — მშენებელთა მრავალმილიონიანი არმიის სახელოვან კოჰორტას,,

— ბრავო, გურამ!

— ერთი უყურეთ?!

— მშვენიერი სადღეგრძელო შესვა!

— სახელმწიფო თამადაა!

ბოლო არ უჩანს ქათინაურებს...

კიდევ კარგი, უკრაინელი კოლეგა მომეგლინა მხსნელად: ოჯახის სადღეგრძელო დალია და გრძნობათა ნიაღვარს საჭირო კალაპოტი მისცა. მაგრამ, დაიცალა თუ არა ჭიქები, სიდორენკო შემეკითხა, საიდან მოგდით თავში ქართველებს ასეთი შესანიშნავი სადღეგრძელოებიო და კვლავ ყურადღების ცენტრში მოვექეცი.

— ბავშვობიდანვე გვწვრთნიან უფროსები! — განვაცხადე მე.

— ღვინის სმაში? — გაუკვირდა ლიტკის წარმომადგენელს.

— რას ბრძანებთ!.. ქართველი კაცისთვის ქეიფი თრობის საბაბი კი არ არის, არამედ გონივრული გართობისა და კულტურული დასვენების საშუალებაა!.. ქართული სუფრა თვითმოქმედების ოლიმპიადაა, სახალხო უნივერსიტეტია!.. ღვინოს ჩვენში პატარა ჭიქებით სვამენ. არავითარი დაძალება, არავითარი ლოთობა და გადაჭარბება! — გადავაჭარბე მე.

— საქართველოს გაუმარჯოს! — სავსე ჭიქა დამანახვა ჩალისფერთმიანმა, ცისფერთვალა ესტონელმა ქალიშვილმა, ნუ გაგიკვირდებათ და — პროფესიით სამუშაოთა მწარმოებელმა.

— მადლობას გწირავთ, მაგრამ სადღეგრძელო ცოტა სხვანაირად მინდოდა შემესვა, — ჩამოვართვი მე, — მეორე სასმისით მსურს ვადღეგრძელო ჩვენი საერთო, დიდი ოჯახი, — ძლევამოსილი საბჭოთა კავშირი და თქვენი სახით, — თვალი მოვავლე სუფრაზე მსხდომთ, — მოძმე რესპუბლიკათა მშრომელები: რუსები და ქართველები!.. უკრაინელები და ბელორუსები!.. მოლდაველი ხალხი!.. ლიტვა, ლატვია და ესტონეთი!..

— ციმბირი არ დაგავიწყდეს! — გამომძახა სუფრის მეორე ბოლოდან შექეიფიანებულმა ირკუტსკელმა, — ურალის გიგანტები და სილამაზით თვალისმომჭრელი ტაიგა!.. თუ არ გჯერათ, ჩამოდით და საკუთარი თვალით იხილეთ!..

— იქიდან ტაშკენტისკენ გამოუხვიეთ! — ღიმილისგან ხაზებად ექცა თვალები უზბეკ მშენებელს, — ნახეთ, რა ქალაქი ავაშენეთ!..

— ახალი ტაშკენტის მშენებლობაში ჩვენც დაგვიღვრია ოფლი, — გავძახე სიამაყით.

— ჩვენც გვიშრომია!

— ჩვენც!.. ჩვენც!.. — ეხოსავით ჩამოუარა სუფრას.

— გაუმარჯოს შუა აზიის რესპუბლიკებს! — უზბეკეთს, ყაზახეთს, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს! — შევაჯამე მე.

— აშხაბადშიც ჩამოგვაკითხეთ, ბამბას გამოგატანთ! — ნიშანი დამაკლო გეოგრაფიაში თურქმენმა კოლეგამ.

— თურქმენეთს გაუმარჯოს! — დავიწვი სირცხვილით.

— რაზდანის სტადიონი ულამაზესია მსოფლიოში, — გვამცნო მოძმე სომხეთის წარმომადგენელმა, — ჩვენი მინისტრი ამბობს, ყველანაირ კონსტრუქციას განვახორციელებ, რა არასტანდარტული და არატიპური დეტალებისგანაც უნდა იყოს შედგენილი პროექტი, ულაპარაკოდ მოვაწერ ხელს მის აშენებაზე, თუკი შენობა ლამაზი გამოვაო.

— ჩვენიც ასე ამბობს, — გავუკეთე გული.

— იოლდაშ! — მეძახის ბაქოელი ალიევი, — აზერბაიჯანი არ დაგავიწყდეს, თორემ გაზსადენს გადაგიკეტავთ!..

— სიკვდილსაც დავიწყებიხართ! სომხეთი და აზერბაიჯანი ბოლოსთვის შემოვინახე, როგორც უახლოესი და უსაყვარლესი ძმები. მზიურ სომხეთსა და აზერბაიჯანს გაუმარჯოს!

— თამადას გაუმარჯოს, თამადა ვადღეგრძელოთ! — იძახის ვიღაც.

,,ერიჰაა! რა დროს თამადის დღეგრძელობაა? ჩამეშალა სუფრა და ეს არის, — ვფიქრობ შეწუხებული, მაგრამ ახალშეძენილი მეგობრების აღფრთოვანებული სახეები მამშვიდებს და სიმშვიდეს მინერგავს.

გურამ შარაშიძე

ნახ. ვ. კუციასი

მხიარული ნაძვის ხე

უტექსტო ხუმრობა

მზხანძრის ნაძვის ხე

ლოთის ნაძვის ხე

ჩვენი მკვეხარული ლიტერატურა

ერეკლეული

ნახ. ი. ჩერეკანოვისა



ნოტებიც გაცვლა

ბილოცავთ დღესასწაულს!

— მოისვენეთ ისა, როგორც საკუთარ სახლში!

ოსტაპ ვიშნია
(უკრაინა)

„სოღისჯი"

სალაგოდეგოდა. ჭალაქის ბაღში იჯექით დამტრეფლიფერი შორეთითა და ინდუსტრიული ალიზაკის ცქერით ტკბებოდით. ერთი სიტყვით, იჯექით და ისვენებდით. ამ დროს გვერდით ვიღაც მოგიჯდათ...

— პაპაროსი ხომ არ გაქვთ? — შეგეკითხათ მცირე ხნის შემდეგ მეზობელი.

— ინებეთ!

ერთხანს ორივე დუმდით და თამბაქოს აბოლებდით, მაგრამ ცხადად გრძნობდით, უცნობს თქვენთან გამოლაპარაკების სურვილი აბრჩობდა.

— მაპატიეთ!.. — წინათგრძნობა გაგიმართლათ უცნობმა, — ოღონმე რამე მოგიპარავთ?

უცებ ვერაფერი უპასუხეთ, ბრინჯივით დაიბენით.

— როგორ გითხრათ, ერთხელ... მეზატონის ბაღიდან ვაშლი და ხაზამთრო მოვიპარე. ამის გამო, ჯერ მოხუცი დარაჯისგან მომხვედა, მერე დედამაც მითავაზა, ბინ უქმუდო და გულამოვარდნილი რომ დავბრუნდი. ახალგაზრდობაში კი ჩემი ცოლი მინდოდა მშობლებისთვის მოვპარა, მაგრამ იმ საღამოს სასიდეფრო შინ მომიხტა: თუ ამ კვირას ჯვარს არ დაიწერთ, მთელ ოჯახს ამოგბუგავთო...

— აბა, ეს რა ჭკუდობაა! — შეგხლი შეჭკრა უცნობმა, — ეი, სამსახურში არაფერი მოგიპარავთ?

— ასე რად გაინტერესებთ?

— ამ ბოლო დროს რაღაც შიში დამჩემდა და იმიტომ.

— რამ შეგაშინათ? მოიპარეთ რამე?

— მოხდა...

— ალბათ, გადარჩენის იმედი გქონდათ, არა?

— ეჰ, მეგობა, მე ცოდვილს, მაგრამ ვატყობ, გაკვაბი... მეტისმეტად მკაცრია ახლახდელი ხალხი, არ გაგიტანს. ვისაც არ ვამეთხეიწე, ყველამ ერთი და იგივე მითხრა: ციხე არ აგცდებაო. ახლა აღარ ვიცი, როგორ სჯობს: დავიცადო, თუ ავდგე და საკუთარი ფეხით მივიდე, ყველაფერი გულწრფელად ვაღიარო. საიდუმლოდ გეკადრებთო, რომ ეჭ სჯდომად ნელ-ნელა ვემზადები კიდეც. საკუთნოს კარზე სათვალთვალო ამოვკერი; სამსახურიდან ადრეადგებული, საკუთნაში შევდიგარ და მთელ დღეს იქ ვზივარ. საქმელზეც კი უარი ვთქვი. მითხრეს, არაქანში ჩაწყობილ ვარენიკებს იქ არ მოგაცემენო და, რომ შემძულებოდა, ამ კვირას იმდენი ვჭამე, ძლივსღა მომაბრუნეს. ახლა ვარენიკების ხსენებაზეც კი გული მერევა... ამგვარი ხერხით, მალე, ყველი ჩემს საყვარელ საქმედ გადავიქცევი. ასე, რომ ციხეში კარგად მომზადებული მოვალ...

— მერედა, ნეშვარ რა გიხდათ? თუ იქურდეთ, პასუხისგების თავიც უნდა გქონდეთ!.. რა ფიდებული საღამოა! ასეთ საღამოს სიმღერა უფრო შეეფერება, ვიდრე თქვენებური წკავწკავი!

— სიმღერაც ვიცი, საკმაოდ კარგი ტენორი მაქვს. ჩვენი თვითთქმედი გუნდის სოლისტი გახლავართ.

„სოლისტმა" ჩაახველა და სიმღერა წამოიწყო:

ციხეე, მოგიკვდეს ამშენებელო,
შენ ხარ ვაქაცის დამღოხებელი!..

გაოცებისგან ლაბის იყო, არ შეეხტით:

— ნეტა, რას ჩამაცავდით! მინდა ვარსკვლავებს, მთვარეს, მზეს ვუმღერო, თქვენ კი...

— მზეზე გგებავთ? ესეც ძმიძელია.

უცნობი წამით ჩაფიქრდა, მერე ესიერი მოიღერა და დაიწყო:

მზე ამოდის და მზე ჩადის,
ჩემს საკანში ისევ ბნელა...

ეს კი მეტისმეტი იყო! ვეღარ შეიკავეთ თავი, წამოხტომი და ქუთრს მიახლეთ:

— დაგწყევლოს ღმერთმა!

და იმ არეშარეს სასწრაფოდ გაეცალეთ.

„ხორაუშტაკი" (ტაჯიკეთი)

ნახ. ხ. როსულოვისა

„სულელის პასუხი"

ერთმა ხნიერმა, ჭკვათამყოფელ კაცად
ცნობილმა,
„სულელს" მიმართა გაბადრულმა და
კმაყოფილმა:
„ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰე,..
ეგ რა არის რა მოგსულიაო,
როგორ ვერ ამჩნევ,
ზურგზე მუხა ამოგსულიაო?"
„მტკნარ სულელს" სიტყვა მოუგია:
„ერთი მითხარი,
ჩერობი ჯდომას რა სჯობია,
ცუდი რით არის?!."
ასეა, როცა ენა ჭკუის არი მსწრობელი,
სულეულურ დღეში ჩავარდება
ჭკვათამყოფელიც!

მარტინ კორშუნი
(სომხეთი)

„ძმაკრაშში" (მოლდავეთი)

ნახ. ფ. ფრიფანისა

განსაკუთრებული ყურადღება

ნარევი

ფრაზები

ის იყო ნამდვილი ჩეშმაინონ შტერების შორის. როდესაც იგი დაფასთან პასუხობდა, ჩვეულებრივი შტერება ფრაადოსხებად გრძნობდნენ თავს. ბოლოს და ბოლოს, ვეღარ ავიტანე ამდენი და მივედი დირექტორთან:

— მოსწავლე სიდოროვი ძალიან ადრე გამოიყვანეს სამავშო ბაღიდან, — რბილად დავიწყე მე, — იგი ძალიან პატარაა სკოლისთვისაც და გამასწორებელი კოლონიისთვისაც კი.

— ვიცი, — მიპასუხა დირექტორმა, — მაგრამ თუ ხედავთ ამ წიგნებს? ესენი სიდოროვის მამამ სკოლის ბიბლიოთეკისთვის გამოგვიგზავნა. ვინ მოიწვია ჩვენთან მსაჩიობები? ისევ მან! დაუჯერებელია, რომ ასეთი მზრუნველი მამის შვილმა არ იცის მათემატიკა, თუნდაც სამიანზე.

მეორე დღეს მშობლთა კრება იყო დანიშნული. პირველი სიდოროვის მამა მოვიდა.

— თქვენი ბავშვი ძალიან სუსტი მოსწავლეა, — პირდაპირ ვაბაკავ მე დიდ სიდოროვს.

— ვიცი, — მიპასუხა მამამ და მაგიდაზე დამიდო ის მათემატიკის ცნობარი, რომელსაც მთელი შემოდგომა უშედეგოდ დავეძებდი. — მას განსაკუთრებული მიდგომა უნდა!

იმ დღიდან მე ყურადღებით ვაკვირდებოდი პატარა სიდოროვს და მაღე აღმოვაჩინე მასში მათემატიკის სიყვარული: იგი დაუსრულებლად ითვლიდა თავისი ჯიბის ფულს, სულ ადვილად საზღვრავდა, რამდენი წუთი იყო დარჩენილი გაკვეთილის დამთავრებამდე და ეძებდა შემადგენელ ნაწილებად დაეშალა რომელიც ენიშვნთი ნივთი.

წლის ბოლოსთვის ჩემი ბიბლიოთეკა მნიშვნელოვნად შეივსო და მივედი იმ დასკვნამდე, რომ შვილი იმსახურებს ხუთიანს.

როდესაც სიდოროვმა ამის შესახებ გაიგო, სიხარულით, ნაგლეჯებად აქცია ყველა თავის სასელმძღვანელო.

მეორე დღეს დირექტორმა მოუულოდნელად გამიმძახა. იგი ნამგზარალევი იყო... ცოტლები ჯერ კიდევ არ შემრობოდა...

„რა შეიძლება მომხდარიყო?" — შემინეტეული ვფიქრობდი მე, — „იქნებ ბევდი და მემთხვევით სხვას დავეშვრე ხუთიანნი?"

— სწორედ ახლახან იყო აქ სიდოროვის მამა, — თქვა დირექტორმა, — იგი საბუთებს წასაღებად მოვიდა, მას თავისი შვილი გადაყავს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების სპეციალურ მათემატიკურ სკოლაში!

მას შემდეგ დირექტორი აღარ მესაუბრება, მაგრამ გულს მაინც ამ ვიტეხს: ვფიქრობ განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვების სკოლაში გადასვლაზე.

ი. ალექსანდროვი
(მოსკოვი)

ქალს გაცილებით ბევრი ლაპარაკი უყვარს, ვიდრე — მოსმენა!

* * *

ომის სურვილმა, რომ მიჯნურისთვის მიებაძა, ახალგაზრდა უდაბნოში გადაკარგა. როცა დაბრუნდა, შეუყვარებული გათხოვილი დახვდა.

* * *

ფილეტონი ჯერ კიდევ მანქანაზე იბეჭდებოდა, როცა ავტორმა გმირის მუშტის ძალა იგრძნო.

* * *

— ჩვენ ახლა არასოდეს დავცილდებით ერთმანეთს, ძვირფასო!

— ნუთუ იყო ასეთი საშიშროება, ჩემო კარგო?

— მე ხომ მანქანა გავყიდე...

* * *

ღლეს მწერალი კარგ ხასიათზეა: თათბირზე აღინიშნა, რომ მისი სათვალე ძლიერ წაადგა ჩეხოვისას...

● **კულტურის** კერაზეც შეიძლება ხელი დაგიწვას!

● **მეშლს** პატიოსანი ადამიანები, — ბუზღუნებდა არქივარიუსი, — ისინი საკუთარი სისხლით აჭკუჭყიანებენ ისტორიის ფურცლებს.

● **ჯერ**ერ**ბ**ბ**ბ

ნახ. ზ. ფორჩხიძისა

— ამხელა ტორშერით ავტობუსში ვერ შემოგიშვებთ!

ნახ. მ. აბაშიძისა

— დაგიჯერო ახლა, რომ ეს ქრთამი არაა და საახალწლო საჩუქარია?

მ. ალიზადე, ა. იახიაევი
(აზერბაიჯანი)

მოლა ნასრედინის ახალი ანეკდოტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავით გაემგზავრეთ!

ერთმა კოლმეურნემ მოლა ნასრედინს ჰკითხა: დივიჩის რაიცენტრსა და ჩვენს სოფელს ჩაიკარაკაშლას შორის გზაზე იმდენი გუბეა, რომ ავტობუსებს არ შეუძლიათ მოძრაობა. როგორ მოვიქცეთ?

მოლამ ხუმრობით უპასუხა: ნავით გაემგზავრეთ!

პირველის მიღების შემდეგ

ორდუბადას მცხოვრებმა დადაშ ალიმამედოვმა ჰკითხა მოლა ნასრედინს: გასული თვის აგვისტოში სოფელ გარაგაჩაიდან ფულის ამანათი გავუგზავნე შვილს, რომელიც ბაქოში სწავლობს. ამანათი ჯერაც არ მიუღია. მითხარით, გეთაყვა, კიდევ ერთხელ რომ გავუგზავნო ფული, როდის მიიღებს?

მოლამ ჩუმად ჩაილაპარაკა: პირველი ამანათის მიღების შემდეგ.

კრიტიკა არ იყო მკაცრი

ერთმა მეგობარმა მოლა ნასრედინს მოუთხრო: შარშან გაზეთში გააკრიტიკეს ჯებრაილის რაიონის აზიზბეკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მამედ ზამანოვი, იმისათვის, რომ მან „შემოსავლიან“ ადგილებზე დანიშნა თავისი ათი ნათესავი, ნაცვლად იმისა, რომ კრიტიკა გაეთვალისწინებინა, თავმჯდომარემ წელსაც კვლავ მოაწყო თავისი ათი ნათესავი თბილ ადგილებზე.

მოლამ შეაწყვეტინა თხრობა: აქედან დასკვნა — კრიტიკა არ იყო მკაცრი!

მაშინ გაიგებენ ისინი...

კუბატლინის რაიონის სოფელ მოლუს მკვიდრმა, ხუთი შვილის დედამ — გოლზარ მამედოვამ საჩივრით მიმართა მოლა ნასრედინს: ვმუშაობ დამლაგებლად სოფლის სკოლაში. უკვე ოთხი თვე იქნება, რაც სკოლის დირექტორი ა. ისმაილოვი ხელფასს არ მაძლევს, მეუბნება: წადი რაიონის განათლების განყოფილების გამგესთან, იმან მოგცეს ხელფასიო. განათლების განყოფილების გამგემ კი სოფსაბჭოს თავმჯდომარესთან გამაგზავნა. ასე დავდივარ და ვწვალობ სამი უფროსის შემყურე. გაბრაზებულმა მოლამ თავი გააქნია: უნდა უთხრათ რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, რომ ერთი თვით მაინც დაუკავოს სამივეს ხელფასი, მაშინ გაიგებენ, რას ნიშნავს უხელფასოდ ცხოვრება!

საკუთარი აბანოები აქვთ!

კუშკინის რაიონში მოლა ნასრედინს ჰკითხეს: 1969 წელს ჩვენს სოფელ ასკერბადაში აბანო დაიწვა, კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ ხელმძღვანელობა თავს არ იწუხებს აბანოს შეკეთებისთვის. თქვენის აზრით, რაშია საქმე?

მოლამ სწრაფად უპასუხა: მაშასადამე, მათ სახლებში აქვთ საკუთარი აბანოები!



ნახ. ბ. ფირცხალავისა

— მილიციას მივაკაკუნებ მიბრაზუნებს კარებზე, მეფეს მარე და შემოუშვებს?!

ნახ. დ. ბერსენევისა

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პენსიონერი ნებაყოფლობით თმობს სკამს.

ხმა ფუა საუკუნეებიდან

ფუა საუკუნეების ერთ მშვენიერ დღეს, ინგლისში, ერთმანეთს შეხვდა ორი ხანში შესული ჯენტლმენი:

— დღემშვიდობისა, სერ! — მიმართა ერთ-ერთმა, — ოჰ, რამდენი წელიწადია, აღარ მინახავხარ! ისევ ძველებურად აწამებთ მოწაფეებს?

— თქვენ ისევ ისე აწრიპინებთ კალამს გაზეთში? ადრე კი დიდ იმედებს ამყარებდნენ თქვენზე!

— თქვენც პირველი მოწაფე იყავით! აუ, რა დიდი ხნის წინათ იყო ეს!

— მახსოვს, თქვენ სულ პიესებს წერდით. მათ შორის, თუ არ ვცდები, ერთი პიესა თეატრსაც შესთავაზეთ დასადგმელად. რა სათაური ჰქონდა?

— „პრინცის ცხოვრება და თავგადასავალი“, — ნაღვლიანად უპასუხა მოხუცმა.

— რა უღმერთოდ მოგექცა მაშინ რეცენზენტი! „რა უნდა მისცეს ჩვენს მკითხველს ამდენმა ჩხუბმა, სიკვდილმა და მკვლელობამ?“. ასე არ წერდა?

— მე დიდხანს მტკივნეულად განვიცდიდი ამას. დუელშიაც მინდოდა გამომეწვია წერილის ავტორი. ახლა კი მისი მადლიერი ვარ. რამდენი დროის, მელნისა და ქაღალდის ეკონომია გაკეთდა! ისე ,არც თქვენ იყავით დიდი ხვითო! სულ რაღაც გამოგონებები, კანონები, ამტკიცებდით, სხეულს შეუძლია, მუდმივად შეინარჩუნოს მოძრაობაო, — მწარედ გაიხსენა ხნიერმა ჯენტლმენმა, — კარგადაც მოგხვდათ სწავლული მდივნისაგან: „ნუ მოიგონებთ მუდმივ ძრავებს! მოშიყვანეთ მაგალითი ცხოვრებიდან და მე დავიჯერებ თქვენს კანონებს!“ გახსოვთ?

— ეჰ, რას იზამ! ახალგაზრდები ვიყავით, გვიქრიდა!

— რა ფუჭად ვხარჯავდით დროს!

— სასაცილოა შოსაგონებლად! სამაგიეროდ, ახლა სულ სხვანაირადაა საქმე: რასაც ჩვენ ვაკეთებთ, სარგებლობა მოაქვს! რამდენი ჩემი მოსწავლე გამოვიდა ხალხში — გახდა მეფუნთუშე, ყასაბი, პროვიზორი... ხოლო ჩემი წიგნი — „გემრიელი და ჯანსაღი საკვები“ ყველამ იცის. სასიამოვნოა იმის შეგნება, რომ ცხოვრება ტყუილად არ გაგილეევია! ახლა კი ძალიან მეჩქარება. კარგად იყავი, ჩემო ნიუტონ!

— შენც კარგად მეყოლე, ჩემო შექსპირ!

ი. ალექსანდროვი

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლოვაძე, (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია (მხატვრული რედ.), ბ. ნიშნიანიძე (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. ⊙ სატრილისა და იუმორის უურნალი „ნიანგი“. ⊙ ტექნიკური რედაქტორი ვ. კუხალაშვილი. ⊙ ფოსტის ნაგებ. 93-10-78. 99-76-69 რედ. მოადგილის 93-49-32 საერთო განყ. 22/XII-72 წ. ⊙ თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ⊙ ⊙ ⊙

7
1972

ნახ. გ. ლომაძისა

Индекс 76137

— ბატონებო, ალარ უნდა მოვესწროთ ამ მზის დაბნელებას?!
— ეს ისეთი მზეა, სერ, არასოდეს რომ არ დაბნელდება!